საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ფრიდონ ბურდულის 2016 წლის წლიური ანგარიში

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, კოლეგებო, პატივცემულო დეპუტატებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

როგორც მოგეხსენებათ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) ევროპული ქარტიის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირადპირი, საყოველთაო,თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 36 წევრისგან, რომელთაგან 15 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 21 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი, საორგანიზაციო და მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილებისგან, სადაც მუშაობს 18 საშტატო ნუსხით განსაზღვრული პერსონალი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, გამგეობის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 5 კომისიის მეშვეობით.

1. **იურიდიულ საკითხთა კომისია**-თავმჯდომარე ალექსანდრე მეზვრიშვილი.
2. **სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია**- თამჯდომარე ელდარ მეფარიძე.
3. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**-თავმჯდომარე ნიკოლოზ ვაჭრიშვილი.
4. **სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**-თავმჯდომარე მევლუდ დუჩიძე.
5. **ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია**-თავმჯდომარე ივანე ბეჟიაშვილი.

დღეის მდგომარეობით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 9 ფრაქცია:

1. ფრაქცია-**„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“**-თავმჯდომარე ივანე ქვრივიშვილი.
2. ფრაქცია-**„საგარეჯოს ოცნება“**- თავმჯდომარე გიორგი ჭინჭარაძე.
3. ფრაქცია-**„დემოკრატები“**-თავმჯდომარე გოჩა ჩერქეზიშვილი.
4. ფრაქცია-**„ქართული ოცნება-კონსერვატორი“**-თავმჯდომარე ალექსი იოსელიანი.
5. ფრაქცია-**„დემოკრატიული საზოგადოება“**-თავმჯდომარე კახა ადუაშვილი.
6. ფრაქცია-**„ქართული ოცნება-მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“**-თავმჯდომარე თამარ სუხიაშვილი.
7. ფრაქცია-**„გარეჯელები“**-თავმჯდომარე კონსტანტინე ღოღელიანი.
8. ფრაქცია-**„ნაციონალი“**-თავმჯდომარე ნიკოლოზ ნაცვლიშვილი.
9. ფრაქცია-**„თანადგომა“**-თავმჯდომარე ვეფხია ჩერქეზიშვილი.

2016 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ცნობად მიიღო:
2016 წლის აპრილიდან საკრებულოს წევრის ზურაბ ქურთიშვილის ფრაქცია „ნაციონალის“ შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.
2016 წლის აპრილიდან საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.
2016 წლის ნოემბრიდან საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ სახელწოდების შეცვლის შესახებ.
2016 წლის ნოემბრიდან ფრაქცია „დამოუკიდებელის“ დაშლის შესახებ.

2016 წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ბიუროს 20 სხდომა
შედგენილია საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების დღის წესრიგის პროექტები.
დამტკიცებულია საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმები.
ჩატარებულია საკრებულოს 20 სხდომა, აქედან 10 მორიგი და 10 რიგგარეშე.
სათანადოდ შედგენილია საკრებულოს სხდომის ოქმები.
საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 19 დადგენილება და 103 განკარგულება.
საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 101 ბრძანება.
2016 წელს ჩატარდა საკრებულოს კომისიის შემდეგი სხდომები:

1. **იურიდიულ საკითხთა კომისია**-ჩატარებულია 15 სხდომა,განხილულია 22 საკითხი.

2. **სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია**- ჩატარებულია 15 სხდომა, განხილულია 120 საკითხი.
3. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**-ჩატარებულია 15 სხდომა,განხილულია 20 საკითხი.
4. **სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**- ჩატარებულია 20 სხდომა, განხილულია 220 საკითხი.
5. **ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია**-ჩატარებულია 14 სხდომა, განხილულია 20 საკითხი.

საკრებულოს კომისიების მიერ განხილულია გამგებლის მიერ ინიცირებული სამართლებრივი აქტების პროექტები შესაბამისი პროფილის მიხედვით. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის,ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ პერიოდულად,შეძლებისდაგვარად ხორციელდება ზედამხედველობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ფრაქციები სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ საკრებულოში შემოსულ საკითხებს.

2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა 2016 წლის ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, რომლითაც ვხელმძღვანელობთ დღეს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 7 500 000 (შვიდი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი 3 270 500 ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3 060 500 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 210 ათასი ლარი, გადასახადების მოცულობა განისაზღვრა 7 500 ათასი ლარით. 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილება შევიდა 7-ჯერ. მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს მუნიციპალური საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, გარე განათება, კეთილმოწყობის ღონისძიებები, სკოლამდელი განათლება, სპორტული ღონისძიებები, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა და სხვა ღონისძიებები სოციალური დაცვის სფეროში.

ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილებით შემოსულობები შეადგენს 11 090 556 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერია 6 847 465 ლარი და გადასახდელები შეადგენს 13 225 335 ლარს, რომელიც ძირითადად ნაწილდება; შრომის ანაზღაურებაზე1 675,7 ათასი ლარი,საქონელი და მომსახურება 1460,7 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია 6824,932 ლარი, სკოლამდელი განათლება 1918355 ლარი, კულტურაზე 1209605 ლარი, სპორტზე 526 901 ლარი, მოსახლეობისჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 888174 ლარი და ა.შ.

2016 წელს გამგებლის წარდგინებით საკრებულომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

1. „2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N47 დადგენილებაში 6-ჯერ შესული ცვლილების შესახებ.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ზონირების, ნორმატიული ფასისა და წლიური საიჯარო ქირის დადგენისა და დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილების შესახებ.
3. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ.
4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ.
5. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცებისა და მიღებულ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
6. მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციისა და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცებულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
7. მოსახლეობის სოციალური დახმარების 2016 წლის პროგრამისა და მის ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესახებ.

საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები-დადგენილებები გადაგზავნილია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად.

2015 წლის 25 დეკემბერს საკრებულოს მიერ მოწონებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლის განსახორციელებელი პროექტები, რომელსაც ახორციელებს რეგიონალური განვითარების ფონდი.

1. ქ.საგარეჯოში დოდაშვილის, ქეთევან წამებულის, წერეთლის, ქურდიანის, ჯანგულაშვილის ქუჩებზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა. (დასრულებულია)
2. ქ.საგარეჯოს N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.(დასრულებულია)
3. სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა.(დასრულებულია)
4. ქ.საგარეჯოში ერეკლე მეორეს და თამარ მეფის ქუჩების ამოასფალტება და ტროტუარების მოწყობა.(დასრულებულია)
5. სოფელ უდაბნოს წყლის რეაბილიტაცია.(დასრულებულია)
6. სოფელ ბადიაურში საბავშვო ბაღის შეკეთება.(დასრულებულია)
7. სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა.(დასრულებულია)
8. სოფელ შიბლიანის გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა.(დასრულებულია)
9. სოფელ ხაშმში სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.(დასრულებულია)

საკრებულომ განკარგულებით დაამტკიცა შემდეგი სოფლის პროგრამები:

1. სოფელი გომბორი- სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება, სასაფლაოს შემოღობვა, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია.
2. სოფელი უჯარმა-გარე განათების მოწყობა, სასმელი წყლის სათავის და სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
3. სოფელი კოჭბაანი-სასაფლაოს შემოღობვა, სასმელი წყლის სისტემის,სათავის და ქსელის რეაბილიტაცია.
4. სოფელი ხაშმი-შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა.
5. სოფელი პატარძეული-სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.
6. სოფელი ნინოწმინდა-სკვერის მოწყობა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია.
7. სოფელი წყაროსთავი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა.
8. სოფელი გიორგიწმინდა-ჭაბურღილის მოწყობა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის აღდგენა და სასმელი წყლის ცენტრალური მილის შეცვლა.
9. სოფელი თოხლიაური-სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის გამოყვანა.
10. სოფელი სათაფლე-საქონლის დასარწყულებლის მოწყობა.

11. სოფელი მანავი-სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელის მოწყობა,გარე განათებისა და 2 მოსაცდელის მოწყობა.
12. სოფელი დიდი ჩაილური-გარე განათების მოწყობა და საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.
13. სოფელი პატარა ჩაილური-შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვა.
14. სოფელი კაკაბეთი-სასმელ წყალზე ონკანების დამონტაჟება და გარე განათების მოწყობა.
15. სოფელი ვერხვიანი-სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.
16. სოფელი ყანდაურა-სტადიონის რეაბილიტაცია,სოფლის სკვერში განათების მოწყობა,საბავშვო ბაღისატვის ატრაქციონების სეძენა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია.
17. სოფელი ბადიაური-ე.წ „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია.
18. სოფელია მზისგული-სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია.
19. სოფელი შიბლიანი-გარე განათების მოწყობა.
20. სოფელი იორმუღანლო-გარე განათებისა და მოსაცდელის მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა და არსებულ ჭაბურღილზე რეზერვუარის მოწყობა.
21. სოფელი ქეშალო-სარწყავი არხის გაწმენდა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია,2 მოსაცდელის მოწყობა.
22. სოფელი დუზაგრამა-სარწყავი და სანიაღვრე არხებისა და შიდა სასოფლო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია.
23. სოფელი ლამბალო-ე.წ „სოკარის“ წყლის რეაბილიტაცია,სანიაღვრე და სარწყავი არხისა და შიდა გზების რეაბილიტაცია,სასმელი წყლის სისტემების მოწყობა.
24. სოფელი თულარი-სავარგულებში სადრენაჟე სისტემის მოწყობა, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისათვის სასაწყობე შენობის აშენება.
25. სოფელი უდაბნო-ძველი ბაღის შენობაში „კულტურული ცენტრის“ მოწყობა.

2016 წელს საკრებულომ განკარგულებით დაამტკიცა:

1. მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2584 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ნაწილის-224.53 კვ.მ ფართის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016-17 წლის რეგიონალური ფონდიდან დასაფინანსებელ პროექტის სამოქმედო გეგმის მოწონების სესახებ.

4. მუნიციპალიტეტში შემავალ ტერიტორიულ ორგანოებზე სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი თანხების განაწილების შესახებ.
5. მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარისის განხილვის შესახებ.
6. მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ.
7. მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის შ.პ.ს „საგარეჯოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
8. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ კაკაბეთის მიწებზე მდებარე 1446453 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან ნაწილის-1847 კვ.მ და 3600 კვ.მ მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.
9. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ კაკაბეთის ტერიტორიაზე მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე განთავსებული ერთი და მეორე სართულზე განთავსებული 4 ოთახი 2016 წლის 1 ოქტომბრიდან, ერთი წლით, პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ს.ს.ი.პ კაკაბეთის საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ.
10. მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებაში არსებული სპეციალური დანიშნულების ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობიტ შექმნილ შ.პ.ს „საგარეჯო“-სთვის დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.
11. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 04 აგვისტოს N61 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
12. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.
13. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2016 წლის იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ შემოსულია 15 მოთხოვნა, მათ შორის:

2-მოქლაქის მიერ.

6-არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-დან,

4-საინფორმაციო ცენტრების ქსელიდან,

2-ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტიდან,

1-მმართველობის სისტემის განვითარების ცენტრიდან.

საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, ასევე არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა საკრებულოს აპარატის უფროსი.

საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების მიერ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები.

შემოსული წერილები და კორესპონდენციები აღრიცხულია სათანადო წესით და დროულად ჩაბარდა ადრესატებს, პასუხი გაეცა სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან შემოსულ ყველა წერილს, საპასუხო წერილები გაგზავნილია დროულად და შესაბამისი ვადების დაცვით. საინსტრუქციო და საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები ინახება ადრესატებთან, შესაბამისად რეაგირებულია ყველა განცხადება.

საჯარო ინფორმაცია- ბიუჯეტები, პროგრამები, ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, დადგენილება და განკარგულებები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის წარმომადგენლობითი ხარჯიდან დაფინანსდა:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის გადასაცემი საჩუქრები.
2. მრავალშვილიანი და ღვაწლმოსილი ქალბატონებისთვის გადასაცემი საჩუქრები.
3. რევაზ ინანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კაფე საღამოს მოწყობა.
4. ანსამბლ „ჩინარის“ შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება.

ქ.საგარეჯოში იგეგმებოდა 35 საწოლიანი საავადმყოფოს გახსნა, უშუალოდ ჩემი ძალისხმევით და ინიციატივით საწოლების რაოდენობა გაიზარდა 52-მდე და ძალიან მალე საგარეჯოს შეემატება 52 საწოლზე გათვლილი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო, რომელიც მოემსახურება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბენეფიციარებს.

 და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო დეპუტატებს და აპარატის თანამშრომლებს გაწეული მუშაობის გამო. დარწმუნებული ვარ თვითოეული ჩვენთაგანი მომავალშიც არ დაიშურებს ძალისხმევას გავამართლოთ გამოცხადებული ნდობა და ვიზრუნოთ ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე და მათი ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე.